სამუშაოს აღწერილობა

ზოგადი ინფორმაცია	
თანამდებობის სახელწოდება	ხარისხის მართვის სპეციალისტი
უშუალო ხელმძღვანელი	ხარისხის მართვის მენეჯერი
სამუშაოს გრაფიკი (განაკვეთი)	სრული განაკვეთი
დაქვემდებარებული თანამდებობები	არა

ფუნქცია-მოვალეობები
• მონაწილეობას იღებს სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემურ სრულყოფის მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებში; • მონაწილეობს სწავლების ხარისხის შეფასების პროცესში სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით და შესაბამის სტრუქტურასთან კოორდინირებით; • სწავლების ხარისხის შემოწმების მიზნით ესწრება თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს; • საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის მიღწევის, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის პროცესში; • მონაწილეობას იღებს მოდულების კალენდარული გეგმების თემატიკისა და აქტივობების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის დადგენაში; • ახორციელებს შეხვედრებს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო მასალის უკეთ დაძლევის მეთოდების საკითხებზე; • უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების მიერ კითხვარების შევსების პროცედურას, მონაცემთა დამუშავებას და განვითარებაზე დაკვირვებას; • მონაწილეობას იღებს ვერიფიკაციის პროცესში; • ახალ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ეხმარება პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემის გაცნობიერებაში, პროფესიული განათლების სპეციფიკის შესახებ უწევს დახმარებას და კონსულტაციებს; • კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს უშუალო და ზემდგომ ხელმძღვანელთა სხვა დავალებებისა და დაწესებულების შიდა სამართლებრივი რეგულაციებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა შესრულებას; • კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს წინადადებების ინიცირებასა და მენეჯმენტთან წარდგენას.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები	
განათლება	ბაკალავრის ხარისხი
პროფესიული ცოდნა	• საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული

	„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება“;
სამუშაო გამოცდილება	1 წელი
გამოსაცდელი ვადა	6 თვე
კომპიუტერული პროგრამები	• MS Word, MS Excel, MS PowerPoint, (ცოდნის დონე - ძალიან კარგი)
კომპეტენციები და უნარები	• ანალიტიკური აზროვნების უნარი; • ქართულ ენაზე გამართულად წერისა და მეტყველების უნარი; • საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი; • გუნდური მუშაობის უნარი; • შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა; • კომუნიკაციის უნარი;
სხვა, დამატებითი მოთხოვნები	

გავეცანი და ვადასტურებ _____